



Keep Rugby Clean

KEEP RUGBY CLEAN



დაბინძურებული ხორცი - World Rugby სახელმძღვანელო

მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტოს ბოლო რჩევები დაკავშირებულია იმ პოტენციურ რისკებთან, რომლის მიხედვითაც ჩინეთსა და მექსიკაში საკვები ხორცი დაბინძურებულია ანაბოლური სტეროიდებით. საერთაშორისო რაგბის საბჭოს სურვილია, რომ კავშირის ყველა წევრი იყოს ინფორმირებული ამ სიტუაციის შესახებ, განსაკუთრებით ის წევრები, რომლებიც გეგმავენ მონაწილეობა მიიღონ რაგბის საერთაშორისო მატჩებში ან ტურნირებში, რომლებიც ჩატარდება ჩინეთსა და მექსიკაში, ასევე ის წევრები, რომლებიც მოიხმარენ ამ ორი ქვეყნიდან იმპორტირებულ ხორცს.



ბოლო დროს ზემოთ აღნიშნულ ორ ქვეყანაში აღმოჩნდა მთელი რიგი დოპინგის შემთხვევებისა, როდესაც სპორტსმენების ტესტებმა აჩვენა დადებითი შედეგი კლენბუტეროლზე და ამის მიზეზი იყო ხორცი. როგორც ჩანს ამ ქვეყნების ზოგიერთ რეგიონში ფერმერები შეიძლება იყენებენ კლენბუტეროლს, რათა აწარმოონ მჭლე ხორცი და მათი საქონელი უფრო სწრაფად მოხვდეს ბაზარზე.

იმისათვის, რომ შემცირდეს ასეთი რისკები World Rugby მოითხოვს შემდეგს:

- როდესაც ეს ორი ქვეყანა მასპინძლობს მატჩს ან ტურნირს, სარაგბო კავშირი ითხოვს ინფორმაციას და წერილობით დასტურს სასტუმროებიდან, რომლებშიც დაბინავდებიან გუნდები ან ხორცის მომწოდებლებიდან, რომ ხორცი არ არის დაბინძურებული კლენბუტეროლით ან სხვა ანაბოლური ნივთიერებებით.
- ჩინეთსა და მექსიკაში სტუმრობის დროს თუ მოთამაშეებს ან გუნდებს სურთ შეამცირონ რისკი, თავი უნდა შეიკავონ ხორცის მიღებისაგან და უნდა მიირთვან ზღვის პროდუქტები ან ვეგეტარიანული საკვები. იმ შემთხვევაში თუ მოთამაშეები ისეთ დაწესებულებებში მიიღებენ საკვებს, რომლებიც არ იძლევიან წერილობით გარანტიას, სპორტსმენებს ეძლევათ მკაცრი მითითება, რომ არ მიიღონ ხორცის პროდუქცია.
- მოთამაშეებს შეახსენებენ რომ World Rugby 26.1 რეგულაციების თანახმად, თუ მათ ორგანიზმში აღმოჩენილი იქნება აკრძალული ნივთიერება, ისინი პირადად იქნებიან პასუხისმგებელი და დაეკისრებათ სანქცია, მიუხედავად იმისა თუ რა გზით მოხვდა მათ ორგანიზმში აკრძალული ნივთიერება.
- მოთამაშეები ასევე გაფრთხილებულნი არიან, რომ მსგავსი პრობლემა შეიძლება არსებობდეს ისეთ ქვეყნებში ან რეგიონებში, სადაც პირუტყვის ინდუსტრია არ რეგულირდება მკაცრად, თუმცა ამ ეტაპზე World Rugby ფიქრობს, რომ შემფოთების მიზეზი არსებობს მხოლოდ ჩინეთსა და მექსიკაში.

ამ გაფრთხილებების ფონზე მოთამაშეები უკიდურესი სიფრთხილით უნდა მოეკიდონ ხორცპროდუქტების მოხმარების საკითხს (უნდა მიეცეთ რჩევა, რომ მოითხოვონ გარანტიები ხორცზე რომელსაც მიირთმევენ) მექსიკასა და ჩინეთში, ასევე იმ ქვეყნებში სადაც მკაცრად არ რეგულირდება პირუტყვის წარმოება.